

ანტიკრიზისული PR-ის როლი პოლიტიკური იმიჯისა და
რეპუტაციის მართვაში (Covid-19-ის პანდემიის მაგალითზე)

ია ადგიშვილი, მარიამ ლომიძე, თამარ თავდგირიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კალატოზიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

“ვაცხადებ, რომ ნაშრომი, „ანტიკრიზისული პიარის როლი პოლიტიკური იმიჯისა და რეპუტაციის მართვაში (covid-19-ის მაგალითზე)“ წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თამარ თავდგირიძე, ია ადეიშვილი, მარიამ ლომიძე

6/9/2020

აბსტრაქტი

ანტიკრიზისული პიარის როლი პოლიტიკური იმიჯისა და რეპუტაციის მართვაში გადაწყვეტია, ეს უკანასკნელი 2020 წლის პანდემიამ ცხადყო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში Covid-19-ის ვირუსისგან გამოწვეულმა კრიტიკულმა სიტუაციამ და განხორციელებულმა ქმედებებმა სახელმწიფოებისა და შესაბამისად ლიდერების იმიჯზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ანტიკრიზისული ქმედებებისა და კრიზისული კომუნიკაციის გავლენა პოლიტიკოსების იმიჯსა და რეპუტაციაზე - თუ რამდენად მნიშვნელოვანია კრიზისის დროს მათ მიერ გაკეთებული განცხადებები, მიღებული გადაწყვეტილებები და ასევე მათი მედია გაშუქება. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ის მთავარი კრიტერიუმები, რომლის გათვალისწინებაც ეფექტურია კრიზისული კომუნიკაციის დროს.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა დეტალები, თუ რაზე გაკეთდა აქცენტი მედიისა და საზოგადოების მხრიდან. ასევე, გამოვლინდა ანტიკრიზისული კომუნიკაციის დროს დაშვებული შეცდომები და წარმატებული მაგალითები. კვლევის საგანს წარმოადგენს მიმდინარე Covid-19-ის პანდემია, შესაბამისად განხილული ლიდერებისა და ქვეყნების ქმედებები და შეფასებები მუდმივად ცვალებადია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: „Covid-19“, “პოლიტიკური იმიჯი“, „ანტიკრიზისული PR“.

Abstract

In times of crisis the role of anticrisis PR in managing political image and reputation is crucial, this was revealed during 2020 pandemic. The critical situation caused by the Covid-19 virus in different countries of the world has had a significant impact on the image of states and

therefore leaders.

The existing research revealed the impact of anti-crisis actions and crisis communication on politicians' and public leaders' image and reputation - How important are their actions and statements, as well as their media coverage in times of crisis. According to the research and various examples revealed main criteria that should be considered in crisis communication to achieve positive results.

Research revealed what the media and the public were focusing on. Also fails and successful examples of anti-crisis communication were discussed. The subject of the research - Covid-19 pandemic is current, so the actions of the leaders and responses are constantly changing.

Key words: „Covid-19“, “political image“, „anti-crisis PR”